ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 279

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქ. №16 (ს/კ №01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და იბა „ახალი დიღომის" (ს/ნ 202389156) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „ქ. თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქ. №16 (ს/კ №01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და იბა „ახალი დიღომის" (ს/ნ 202389156) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის № 20.1146.1430 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და იბა „ახალი დიღომის" (ს/ნ 202389156) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, აკაკი ბაქრაძის ქ. №16 (ს/კ №01.10.10.025.029) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს 4.3-ით;

ბ) მოხდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით;

გ) არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმება განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

დ) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის, ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების" შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე